დანართი

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთება

შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკაზე“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 23 მარტის N38/ს ბრძანების საფუძველზე გაცემულია სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია №000019.

აღნიშნული ლიცენზია, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, ერთის მხრივ გაიცა რაჭა-ლეჩხუმისა ქვემო სვანეთის რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების, ასევე დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობის მიზნით (რომელიც ითვალისწინებდა არანაკლებ 5 000 000 მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელებას და ლიცენზიის მფლობელის მიერ 80% ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას), მეორეს მხრივ, ლიცენზიის გაცემა ითვალისწინებდა მითითებულ რეგიონში ცხოველთა არსებული სახეობებისა და მათი პოპულაციების აღწარმოებას, დაცვასა და მათი რიცხოვნობის გაზრდას. აღნიშნული ღონისძიებები კი თავისთავად განაპირობებდა სამონადირეო მეურნეობის განვითარებას და არსებული ბუნებრივი რესურსის ოპტიმალურ და რაციონალურ გამოყენებას. შესაბამისად, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის საფუძველზე უნდა მომხდარიყო საჯარო/საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება და კერძო ინიციატივის მხარდაჭერა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ლიცენზიის მფლობელს სავალდებულოდ შესასრულებლად განესაზღვრა დამატებითი სალიცენზიო პირობები, რომლებიც სხვა მნიშვნელოვან ვალდებულებებთან ერთად, მათ შორის მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ვალდებულებებს, როგორიცაა:

- ლიცენზიის გაცემიდან 5 წლის განმავლობაში არანაკლებ 5 000000 ლარის ინვესტიციის განხორციელება;
- ხელი არ შეუშალოს ადგილობრივ მოსახლეობას, ტყის ბუნებრივი თვისებები გამოიყენოს დასვენების, ტურიზმისა და ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით;
- სამოყვარულო და სპორტული ნადირობის, შემეცნებითი, რეკრეაციული, სათავგადასავლო და ეკოტურიზმის განვითარებისათვის, სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე განათავსოს შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურა;
- ხელი არ შეუშალოს მოსახლეობას, იმყოფებოდეს და თავისუფლად გადაადგილდეს ტყეში, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, პირადი მოხმარების მიზნით, შეაგროვოს ტყის არამერქნული რესურსები და ხის მეორეხარისხოვანი მასალები (გარდა „წითელი ნუსხით“ დაცული მერქნიანი სახეობებისა).

● სამონადირეო მეურნეობის მოწყობისას გაითვალისწინოს შესაბამისი სივრცითი მოწყობის გეგმებით განსაზღვრული მუნიციპალიტეტების განვითარების პერსპექტივები; სისტემატურად განახორციელოს გაცნობითი შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, ითანამშრომლოს შესაბამის მუნიციპალიტეტთან, რათა თავისი საქმიანობის პროცესში გათვალისწინებულ იქნეს ადგილობრივი მოსახლეობისა და მეწარმეთა ინტერესები.

● ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე შესაბამის ორგანოს ხელი არ შეუშალოს სათბობი შეშის მოპოვების მიზნით სოციალური ჭრის ტყეკაფების გამოყოფასა და ამ ტყეკაფებზე ხე-ტყის დამზადება-გაცემაში.

● სამონადირეო მეურნეობის ზონირება განახორციელოს იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას დამსვენებლების, ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ტყეში თავისუფლად გადაადგილებასა და უსაფრთხოებას. ამ მიზნით მოაწყოს საინფორმაციო დაფები და გამაფრთხილებელი მანიშნებლები ყველა ძირითად შესასვლელში და ტურისტულ მარშრუტებზე;

● სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, უზრუნველყოს, რომ სამონადირეო მეურნეობაში დასაქმებული პერსონალის 80% წარმოადგენდეს იმ მუნიციპალიტეტების ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებსაც მოიცავს ლიცენზია;

● უზრუნველყოს, რომ სამონადირეო მეურნეობის კუთვნილ ტერიტორიაზე, ხელი შეუწყოს ადგილობრივ მოსახლეობას, დადგენილი მოსაკრებლის გადახდის შემდეგ კანონით დაშვებულ გადამფრენ სახეობებზე ნადირობაში და ამ მიზნით, გამოყოს საზოგადოებრივი სავარგულები, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა შეძლებს გადამფრენ ფრინველებზე ამ პუნქტით განსაზღვრულ სეზონურ ნადირობას;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2023 წლის 13 ნოემბრის DES 2 23 00084050 მომართვის (სააგენტოში რეგისტრაციის N11054) საფუძველზე, სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკაზე“ გაცემული სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით (N000019) განსაზღვრული სალიცენზიო ვალდებულებების სტატუსისა და შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომის - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 23 მარტის N38/ს ბრძანების საფუძველზე გაცემული სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის (№000019) ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით.

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2023 წლის 13 ნოემბრის DES 2 23 00084050 მომართვით დგინდება, რომ შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას'' მიმართ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ, შედგა №078308 და №078315 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, რომელიც ეხებოდა კომპანიის მიერ შემდეგი სალიცენზიო ვალდებულების შეუსრულებლობას: 1) ლიცენზიის გაცემიდან 12 თვის განმავლობაში სამინისტროში წარადგინოს სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის პროექტი მის მიერ სალიცენზიო ფართობზე არსებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტების შესახებ, წლის

სხვადასხვა სეზონისთვის ჩატარებული კვლევის საფუძველზე, სამინისტროსთან შეთანხმებული სქემისა და მოთხოვნების შესაბამისად; 2) ყოველწლიურად, 1 აპრილიდან 1 მაისამდე მოეხდინა სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგება. ანგარიშგება ხდება ლიცენზიის გამცემისათვის წერილობითი ანგარიშის წარდგენით. ამბროლაურის რაიონული სასამართლოს (2023 წლის 04 ივლისის დადგენილება) მიერ კომპანია არ იქნა ცნობილი სამართალდამრღვევად. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული ასევე და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (2023 წლის 18 სექტემბრის დადგენილება).

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად, ლიცენზიის მფლობელის მიერ კანონით დადგენილი სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება კანონით. ლიცენზიის გამცემი განსაზღვრავს გონივრულ ვადას სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილებისათვის და დაადგენს იმ პირობებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისათვის.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, ვინაიდან შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა” არ იქნა ცნობილი სამართალდამრღვევად, დეპარტამენტი მოკლებულია შესაძლებლობას, დასვას საკითხი სააგენტოს წინაშე სალიცენზიო ვალდებულების შესასრულებლად გონივრული ვადების განსაზღვრასთან დაკავშირებით, თუმცა, ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ დღეს არსებული მდგომარეობით, შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას’’ მხრიდან სალიცენზიო პირობები არ არის შესრულებული, ასევე არ არის ლიცენზიით განსაზღვრული მიზნები მიღწეული და დეპარტამენტს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი მექანიზმი არ გააჩნია, სალიცენზიო პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ლიცენზიის გამცემ ორგანოში - სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში გადმოგზავნილი იქნა საქმის მასალები და სააგენტოს ეთხოვა ლიცენზიის მფლობელის სალიცენზიო ვალდებულებების შესრულების ან/და ლიცენზიის შემდგომი მოქმედების საკითხის განხილვა.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2023 წლის 13 ნოემბრის DES 2 23 00084050 მომართვის საფუძველზე დაწყებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოებიდან გამოთხოვილ იქნა შესაბამისი მოსაზრებები/პოზიციები. შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე, კანონით დადგენილი წესით ეცნობა დაინტერესებულ მხარეს - შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას“, რომელსაც ეთხოვა დასაბუთებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის, ასევე სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით განსაზღვრული სალიცენზიო ვალდებულებების ფაქტობრივად შესრულებული და სამომავლოდ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ დასაბუთებული მოსაზრების 7 დღის ვადაში წარმოდგენა და მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ზეპირ

მოსმენაში მონაწილეობის მიღება. ზეპირი მოსმენის შესახებ ინფორმაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით ეცნობა ასევე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, სსიპ ეროვნულ სატყეოს სააგენტოს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციულ- ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში), ამბროლაურის, ლენტეხისა და ონის მუნიციპალიტეტებს და ეთხოვათ ზეპირი მოსმენის სხდომაზე დასწრება.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში), ამბროლაურის, ლენტეხისა და ონის მუნიციპალიტეტების წერილობითი მოსაზრებები და შესაბამისი დოკუმენტაცია.

2023 წლის 27 ნოემბერს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში (თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N150) გაიმართა ზეპირი მოსმენა. ზეპირ მოსმენაზე გაკეთებული ახსნა-განმარტებები აისახა სხდომის ოქმში.

მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიმართვის საფუძველზე, **სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2023 წლის N11/7934 წერილით,** წარმოდგენილი იქნა ამავე ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად: სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ, შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას“ 12.10.2022 წლის (სააგენტოს რეგისტრაციის N23349/11) და 28.10.2022 წლის N01-221028/11 წერილების საფუძველზე, მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოსაზრებისათვის. თავის მხრივ, სამინისტრომ 26.12.2022 წლის N12237/01 წერილით შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას“ მიერ ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით, წარადგინა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც: ,,ტყითსარგებლობისთვის მოთხოვნილი ფართობის ნაწილი (20 540,3 ჰა) კვეთს ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების შესახებ (ბერნის) კონვენციის საფუძველზე დამტკიცებულ ტერიტორიებს (რაჭა1, რაჭა 3, რაჭა 4, სვანეთი-რაჭა). აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ საჭიროდ მიიჩნია, ლიცენზიანტს საქმიანობის დაწყებამდე, წარმოედგინა ზურმუხტის ქსელის ზემოხსენებულ ტერიტორიებზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“. ზემოაღნიშნული მოთხოვნის თაობაზე, შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას“ დამატებით ეცნობა აღნიშნული სააგენტოს 2022 წლის 27 დეკემბრის 11/9382 კორესპონდენციით, თუმცა მიუხედავად ამისა, ლიცენზიის მფლობელს აღნიშნულ საკითხზე, ეროვნულ სატყეო სააგენტოსთვის შემდგომ აღარ მიუმართავს. ლიცენზიის მფლობელის 2023 წლის 22 სექტემბრის N01-230922-01 წერილის პასუხად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს დამატებით აცნობა, რომ „შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას”

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 იანვრის N134 განკარგულების, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N132 დადგენილებით დამტკიცებული ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა და „შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა“-ზე (ს/კ 405352363) „სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 23 მარტის N38/ს ბრძანების თანახმად, ლიცენზიით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებთან ერთად, განესაზღვრა სალიცენზიო ვალდებულებების შესრულება, მათ შორის ლიცენზიის მფლობელს: საქმიანობის დაწყებამდე სამინისტროში შეთანხმებისთვის უნდა წარედგინა ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე (რომელსაც ემთხვევა სამონადირეო მეურნეობის მოთხოვნილი ფართობი) ზემოქმედების ანგარიში (ზემოაღნიშნული, N38/ს ბრძანების მე-2 პუნქტის „ტ”) ქვეპუნქტი). კომპანიას ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში სამინისტროში განსახილველად არ წარმოუდგენია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გარდა იმისა, რომ ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასების მიზანია უნიკალური ჰაბიტატებისა და სახეობების დაცვა, ასევე ცხოველთა მდგრადი სარგებლობის უზრუნველყოფა, ზურმუხტის ქსელის დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეროვნული მიზანია, ეს მოთხოვნა საერთაშორისო ვალდებულებებითაცაა განპირობებული. შესაბამისად, ლიცენზიანტის მნიშვნელოვანი ვალდებულებაა ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე ზემოქმედების ანგარიშის მომზადება და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა. ამავდროულად მნიშვნელოვანია, ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე ზემოქმედების ანგარიშით გათვალისწინებული საკითხის სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმაში ინტეგრირება და სამინისტროში შეთანხმებისთვის წარმოდგენა.

შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას“ ზემოაღნიშნული, ბრძანების მე-2 პუნქტის ქ) ქვეპუნქტით, სალიცენზიო პირობით აქვს განსაზღვრული, სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის წარმოდგენის ვალდებულება კერძოდ: ლიცენზიის გაცემიდან 12 თვის განმავლობაში (კერძოდ 2023 წლის 23 მარტამდე) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში უნდა წარედგინა სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის პროექტი, სალიცენზიო ფართობზე არსებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტების შესახებ, წლის სხვადასხვა სეზონისთვის ჩატარებული კვლევის საფუძველზე, სამინისტროსთან შეთანხმებული სქემისა და მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის მიერ აღნიშნული პირობა დღემდე შესრულებული არ არის. ამავე ბრძანების ღ) ქვეპუნქტის თანახმად კი „ზემოაღნიშნული დოკუმენტების სამინისტროს მიერ შეთანხმებამდე არ განახორციელოს საქმიანობა, გარდა ტერიტორიის ფიზიკური დაცვისა, ზემოაღნიშნული კვლევების განსახორციელებლად საჭირო საქმიანობისა, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ქმედებებისა (ფორს-მაჟორი), სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში, შეზღუდული ინტენსივობით, შეთანხმებულ ფართობსა და სახეობებზე ნადირობის, დამტკიცებული კვოტების ფარგლებში“.“

შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას“ სამინისტროსთვის არ მიუმართავს სალიცენზიო ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო კვლევების (რომელიც წლის სხვადასხვა სეზონს უნდა მოიცავდეს) ჩატარების სქემისა და მოთხოვნების შესათანხმებლად. ამავდროულად, ხსენებული კვლევების შედეგები ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე (რომელთაც ემთხვევა

სამონადირეო მეურნეობის მოთხოვნილი ფართობი) ზემოქმედების ანგარიშის მომზადების საფუძველიცაა და ის უნდა აისახოს მართვის გეგმაში.“

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ინფორმაციით, აღნიშნული ვალდებულებების შესრულება, არ იყო დაკავშირებული ტყის ფართობების გადაბარებასთან. მნიშვნელოვანი გარემოებაა ასევე, რომ სსიპ - ეროვნულმა სატყეო სააგენტომ, 2022 წლის 30 დეკემბრის N11/9481 წერილით გამოხატა მზაობა ლიცენზიით განსაზღვრული ფართობის გადაბარებასთან დაკავშირებით და შპს "ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას"-თვის გაგზავნილ წერილში მიუთითა, რომ მიღება-ჩაბარების აქტით რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურისაგან ეტაპობრივად, „ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზიით, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით ან სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით განსაზღვრული ფართობის მიღება-ჩაბარების განხორციელების წესისა და ფორმის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 10 სექტემბრის №33 ბრძანებისა და მისი დანართის შესაბამისად, უზრუნველყოფდა ლიცენზიის მფლობელისათვის ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის გადაბარებას. თუმცა, ლიცენზიანტის მხრიდან აღნიშნულთან დაკავშირებით კომუნიკაცია არ მომხდარა.

ამავე დროს, ვინაიდან აღნიშნული პროცესების პარალელურად, 2022 წლის 12 ოქტომბერს ლიცენზიანტმა ტყითსარგებლობის უფლების მინიჭებისათვის მიმართა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს, სააგენტომ ამ მიზნით მოითხოვა სალიცენზიო პირობებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის (ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების ანგარიში) წარმოდგენა, ხოლო **ლიცენზიანტის მიერ კვლავ არ მოხდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მოთხოვნის შესრულება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა.**

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ მიმდინარე წლის 05 ივნისის N01-230605-01 და 22 სექტემბრის N01-230922-01 წერილებით, შპს "ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკამ“ მოითხოვა სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული ვალდებულებების გადავადება, იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელეების ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“, ა(ა)იპ „რაჭის სათემო ორგანიზაციის“, გრიგოლ გაგნიძის, რატი მეტრეველის, ქეთევან ნამგალაძის და გივი ქემოკლიძის მიერ ლიცენზიის გაცემის შესახებ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 23 მარტის N 38/ს ბრძანება, მისი ბათილად ცნობის მიზნით, გასაჩივრებულია სასამართლოში. ზემოაღნიშნული სასამართლო დავის დასრულებამდე კომპანიამ მოითხოვა ვალდებულებების შესრულების გადავადება; **აღნიშნული გარემოება ნათლად მიუთითებს, რომ კომპანია არ გეგმავდა არც ამ ეტაპზე აპირებს სალიცენზიო ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს ვალდებულების შესრულებიდან თავის არიდებას.**

აღსანიშნავია, რომ სასამართლოში დავა წლების განმავლობაში შეიძლება გაგრძელდეს და ყველა დაინტერესებულ პირს აქვს უფლება იდავოს ლიცენზიის კანონიერებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ეს არ შეიძლება გახდეს საფუძველი იმისა, რომ ლიცენზიის მფლობელი დაელოდოს საქმეზე კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს სალიცენზიო პირობების შესრულება და ინვესტიციების განხორციელება. შესაბამისად, ასეთი სამართლებრივი საფუძვლებისა და გარემოებების

პირობებში, სასამართლოში დავის წარმოება და სალიცენზიო ვალდებულებების შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებად მიჩნევა არამართებული და გაუმართლებელია. ამ ლოგიკით, ნებისმიერი სალიცენზიო ვალდებულების შეუსრულებლობა შეიძლება მხარემ გახადოს სადავო და ამით თავი აარიდოს დადგენილი სალიცენზიო ვალდებულებების შესრულებას.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2023 წლის 16 ნოემბრის N11/7934 წერილში ასევე მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილება „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ მართვის გეგმის წარდგენას უკავშირებს ლიცენზიის გაცემას და არა ტერიტორიის გადაცემაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას, რომელიც ხორციელდება ეტაპობრივად. ეს პროცესი სავალდებულოა მართვის გეგმის დამტკიცებისათვის და არა წარდგენისათვის. შესაბამისად, სალიცენზიო ფართობის მიღება-ჩაბარება არ წარმოადგენს კვლევების ჩატარების დამაბრკოლებელ გარემოებას. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გარეშე, ლიცენზიანტს შეუძლებლად მიაჩნდა მართვის გეგმის წარმოდგენა, ვალდებულების შეუსრულებლობის თავიდან აცილების მიზნით, შეეძლო წარმოედგინა მოთხოვნილი დოკუმენტი, ან კანონით დადგენილი წესით, სასამართლო წესით მოეთხოვა ქმედების განხორციელება (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დავალება) სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსაგან, რაც არ განუხორციელებია. ამასთან, **ლიცენზიის მფლობელის მხრიდან არ განხორციელებულა ძალისხმევა, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შემდგარიყო კომუნიკაცია ვალდებულებების შესრულების გაჭიანურების ან შეუსრულებლობის თავიდან არიდების მიზნით.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან არსებულ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ვერ ხერხდება სალიცენზიო პირობის დადგენისთვის გონივრული ვადის განსაზღვრა, ამასთან მოქმედი კანონმდებლობით გასულია „ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზიით, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით ან სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით განსაზღვრული ფართობის მიღება-ჩაბარების განხორციელების წესისა და ფორმის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 10 სექტემბრის №33 ბრძანებით განსაზღვრული სალიცენზიო ფართობის მიღება-ჩაბარების ვადები - ლიცენზიანტის მიზეზით, ამავე დროს ლიცენზიანტი არ ასრულებს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულებას, არ გამოხატავს მზაობას, ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე ზემოქმედების ანგარიშის მომზადებისათვის, **სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მიაჩნია, რომ ლიცენზიანტის მიერ ტყითსარგებლობის უფლებით სარგებლობა და ლიცენზიის შემდგომი მოქმედების საკითხი საჭიროებს გადახედვას.**

მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიმართვის საფუძველზე, **სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2023 წლის 17 ნოემბერის N4513 წერილით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს ეცნობა,** რომ 2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ საქართველოს კანონი, რომლის ფართობი შეადგენს 50835 ჰექტარს. რაჭაში დაცული ტერიტორიების შექმნის საკითხები, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში განხილული იქნა სააგენტოსთან

არსებულ საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე 2022 წლის 23 სექტემბერს. საბჭოს წევრების მიერ, განიხილებოდა ამჟამინდელი რაჭის ეროვნული პარკის კანონით განსაზღვრული საზღვრები. მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამჟამად დამტკიცებული ეროვნული პარკის საზღვრები ვერ უზრუნველყოფს რეგიონში წარმოდგენილი ბუნებრივი ფასეულობების დაცვასა და შენარჩუნებას. მსჯელობის შედეგად ასევე დადგინდა, რომ მნიშვნელოვანია რაჭის რეგიონში დაცული ტერიტორიების გაფართოება, მათ შორის, ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მეხუთე და მეექვსე კატეგორიების - დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის სტატუსით გაფართოების კუთხით. განხილვის პროცესში, ასევე გამოიკვეთა და საბჭოს წევრები მოითხოვდნენ, რომ რაჭის რეგიონში სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ზემოაღნიშნული ლიცენზიის ქვეშ მოქცეული ტყეები წარმოადგენს მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მქონე არეებს და სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტომ უნდა უზრუნველყოს სამომავლოდ ამ ტერიტორიებზე დაცული ტერიტორიების დაარსების შესაძლებლობების კვლევა და შემდგომი ქმედებების განხორციელება. გარდა აღნიშნულისა, ონის მუნიციპალიტეტის შქმერის თემის მოსახლეობის მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე არაერთხელ იქნა დასმული საკითხი რაჭის ქედზე დაცული ტერიტორიების შექმნის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტომ 2023 წლის 17 ნოემბერის N4513 წერილით დაადასტურა და ხაზი გაუსვა, რომ დაგეგმილი აქვს რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, რომელიც, მათ შორის, მოიცავს სამონადირეო მეურნეობის სპეციალური N000019 ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიებს, განახორციელოს კვლევები სხვადასხვა მიმართულებით, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს, როგორც არსებული ეროვნული პარკის გაფართოვებას, ასევე ახალი დაცული ტერიტორიების დაარსებას/შექმნას.

ამდენად, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაციით, დაგეგმილი კვლევების შედეგად დადგინდება გეგმარებითი დაცული ტერიტორიების საზღვრები, რომელმაც შესაძლოა სრულად ან დიდი ნაწილი მოიცვას შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკაზე“ გაცემული სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით (N000019) განსაზღვრული სალიცენზიო ტერიტორია. კვლევების შედეგად, გარდა საზღვრებისა, გამოიკვეთება დაცული ტერიტორიის შესაბამისი კატეგორია, რომელიც ასევე თანხვედრაში უნდა იყოს საერთაშორისო კრიტერიუმებთან და სტანდარტებთან. ხოლო, არსებული ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, ,,სამონადირეო მეურნეობის ამჟამინდელ სალიცენზიო ტერიტორიაზე, ან მის ნაწილზე დაცული ტერიტორიის შექმნის შემთხვევაში, სამონადირეო მეურნეობის ფუნქციონირების პარალელურად, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო მოკლებული იქნება შესაძლებლობას განახორციელოს სხვადასხვა ტიპის განვითარების პროექტები, მათ შორის: ეკოტურიზმის, სოციალური, გარკვეული კონსერვაციული ღონისძიებების და სხვა მიმართულებებით, ლიცენზიის ვადის გასვლამდე ან მის საბოლოო გაუქმებამდე”.

მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიმართვის საფუძველზე, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში),

ამბროლაურის, ლენტეხისა და ონის მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი (სახელმწიფო რწმუნებულის 2023 წლის 16 ნოემბრის N 674 წერილი) პოზიციის თანახმად: შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკაზე" (ს/კ 405352363) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ" სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 23 მარტის N 38/ს ბრძანებით, გათვალისწინებული იყო რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, რის უზრუნველყოფაც უნდა მომხდარიყო შესაბამისი ლიცენზიის ფარგლებში, ლიცენზიის მფლობელის მიერ ინვესტიციების განხორციელება. სახელმწიფო რწმუნებულის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მუნიციპალიტეტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების მიზნით, კომპანიის მიერ სათანადო ღონისძიებების დაგეგმვა, დასაწყისშივე უნდა მომხდარიყო მოსახლეობასთან და მუნიციპალიტეტთან მჭიდრო, ინტენსიური კომუნიკაციით, რადგან ლიცენზიის მფლობელს სალიცენზიო პირობებით ევალებოდა სისტემატიურად განეხორციელებინა გაცნობითი შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, უნდა ეთანამშრომლა შესაბამის მუნიციპალიტეტებთან, ადგილობრივი მოსახლეობისა და მეწარმეთა ინტერესების გათვალისწინების უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფო რწმუნებულის წერილში მითითებულია შემდეგი: ,,მუნიციპალიტეტებიდან მიღებული წერილებით დასტურდება, რომ ლიცენზიის გაცემიდან დღემდე, ლიცენზიის მფლობელს არ განუხორციელებია ლიცენზიის მოქმედების არეალში არსებული მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობასა და მოსახლეობასთან არანაირი კომუნიკაცია, რამაც გამოიწვია მოსახლეობის ინტერესების უგულვებელყოფა განსახორციელებელი საქმიანობის გაუმჭვირვალედ წარმოებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული რისკების თვალსაზრისით. აღნიშნულის გამო, ინვესტორის მხრიდან ინფორმაციის გაზიარების ნაკლებობამ, პროექტისა და გეგმების თაობაზე მოსახლეობასთან კომუნიკაციის არარსებობამ, გამოიწვია ადგილობრივი საზოგადოების უნდობლობა და პროექტის მიუღებლობა, რაც შეუძლებელს ხდის მის განხორციელებას".

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში) 2023 წლის 16 ნოემბრის N674 წერილს, დანართის სახით, თან ერთვის შესაბამისი მუნიციპალიტეტების პოზიციები ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ:

ონის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 16 ნოემბრის N78-782332047 წერილის თანახმად, ,,სააგენტოს უფროსის 2022 წლის 23 მარტის N 38/ს ბრძანებით განსაზღვრული სალიცენზიო პირობებით, ლიცენზიის მფლობელს ევალება, სისტემატურად განახორციელოს გაცნობითი შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, ითანამშრომლოს შესაბამის მუნიციპალიტეტთან, რათა თავისი საქმიანობის პროცესში გათვალისწინებულ იქნეს ადგილობრივი მოსახლეობისა და მეწარმეთა ინტერესები". აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ,,ონის მუნიციპალიტეტის მერია ადასტურებს, რომ ლიცენზიის გაცემიდან დღემდე ლიცენზიის მფლობელის მიერ არ სრულდება ზემოაღნიშნული სალიცენზიო პირობა, რაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესების უგულებელყოფას გამოხატავს, რის გამოც, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ადგილობრივი

მოსახლეობა უარს აცხადებს ლიცენზიის მფლობელთან ყოველგვარ თანამშრომლობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მოსაზრებით, მიზანშეწონილია სააგენტოს მიერ განხილულ იქნეს ზემოაღნიშნული ლიცენზიის გაუქმების საკითხი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად".

ონის მუნიციპალიტეტის მერიის წერილს თან ახლავს, მერის წარმომადგენლების მოხსენებითი ბარათები შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულებიდან (უწერა, ჭიორა, გლოლა, გომი, საკაო, ფარახეთი, ღები სორი), რითაც დასტურდება, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან არ შემდგარა კომუნიკაცია მათი ინტერესების გათვალისწინების, საქმიანობის სამომავლო გეგმებისა და პროექტების განხილვის მიზნით.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 16 ნოემბრის N96-962332018 წერილით, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიამ, საკრებულოს შესაბამის კომისიასთან ერთად განიხილა აღნიშნული საკითხი. მერიის მოსაზრებით, ,,ვინაიდან ლიცენზიით გათვალისწინებული სამონადირეო ტერიტორია მოქცეულია ლენტეხის მუნიციპალიტეტის ჟახუნდერისა და ჩიხარეშის ადმინისტრაციულ საზღვრებში, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს, და მაჟორიტარ დეპუტატებსა და ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრის/გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ლიცენზიანტის, შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას" მიერ, დაკისრებული არც ერთი სალიცენზიო ვალდებულება არ სრულდება. ლიცენზიანტის მიერ არც ადგილობრივ ხელისუფლებასთან და არც მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა და შესაბამისად, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება, საქმიანობასთან დაკავშირებული გეგმებისა და პროექტების განხილვა არ შემდგარა. **შესაბამისად მოსახლეობასთან კომუნიკაციის არქონამ გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის უნდობლობა, რის გამოც შეუძლებლად მიაჩნია პროექტის განხორციელება.**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის წერილს თან ახლავს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში (ჟახუნდერი და ჩიხარეში) ჩატარებული მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმები, რომელშიც აღნიშნულია, რომ არც ამ ერთეულებში არ შემდგარა კომუნიკაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან მათი ინტერესების გათვალისწინების, საქმიანობის სამომავლო გეგმებისა და პროექტების განხილვის მიზნით.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 16 ნოემბრის N76-762332059 წერილის შესაბამისად, ,,შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას" მიერ ადგილობრივ ხელისუფლებასთან რაიმე სახის კომუნიკაცია ან თანამშრომლობა გაცნობითი შეხვედრებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესის გათვალისწინების, მათი საქმიანობის გეგმებისა და პროექტების განხილვა/გაცნობის მიზნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არ განხორციელებულა". შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერია აღნიშნავს, რომ ,,შექმნილი მდგომარეობის გამო, ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიუღებელია ამ პროექტის განხორციელება, შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელის მიერ ადგილობრივ მოსახლეობასთან თანამშრომლობით მეურნეობის მართვის გეგმის მომზადება და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით მისი შეთანხმება შეუძლებელია".

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის წერილს თან ახლავს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში მერის წარმომადგენლის წერილები (ბუგეული, ხიდიკარი,

წესი, ველევი, სხვავა, ზნაკვა, ქ. ამბროლაური, ჭელიაღელე, ლიხეთი, სადმელი), რომლებიც ასევე აღნიშნავენ, რომ არც ამ ერთეულებში არ შემდგარა ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაცია, მათი ინტერესების გათვალისწინების, საქმიანობის სამომავლო გეგმებისა და პროექტების განხილვის მიზნით.

განსახილველ საკითხზე, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, **შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას“ მიერ 2023 წლის 22 ნოემბერის N01-231122/02 წერილით,** სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა კომპანიის წერილობითი მოსაზრებები სალიცენზიო ვალდებულებებთან და ლიცენზიის ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით. ლიცენზიის მფლობელის ზემოაღნიშნულ წერილს, დანართის სახით, თან ერთვის სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კომუნიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია.

წერილის თანახმად, ლიცენზიანტმა სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმა ვერ წარუდგინა სამინისტროს ვინაიდან, სალიცენზიო ფართობი შეიპ-ფაილებით არ იყო დაზუსტებული, ხოლო ლიცენზიის გამცემის მიერ ამ მიზნით არ განხორციელდა არანაირი ქმედება. ლიცენზიანტი ასევე მიუთითებს, რომ ის ითხოვდა სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული ვალდებულებების გონივრული ვადით გადავადებას. ლიცენზიის მფლობელს მიაჩნია, რომ სალიცენზიო ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძვლით ლიცენზიის ძალადაკარგულად გამოცხადება არაკანონიერი და უსაფუძვლოა, რადგან არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, კომპანიის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია სალიცენზიო ფართობის გადაუბარებლობის გამო. ამასთან, აღნიშნავს, რომ სალიცენზიო პირობის შეუსრულებლობისას აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება მხოლოდ მაშინაა პროპორციული, თუ ადმინისტრაციული ორგანო პირველ რიგში უფრო მსუბუქ საშუალებას/მექანიზმს გამოიყენებს, ასევე, აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში, აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს. წერილში კომპანია უთითებს ასევე, რომ სამომავლო ღონისძიებებთან დაკავშირებით ლიცენზიის მფლობელის პოზიცია წარმოდგენილი იქნებ საკითხის განხილვის დროს.

1. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამოკვლეული და საქმეში არსებული დოკუმენტაციით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა''-ზე (ს/კ 405352363) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 23 მარტის N38/ს ბრძანების თანახმად, შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკაზე“ გაიცა სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია და შესაბამისი სალიცენზიო მოწმობა (N000009), სალიცენზიო ფართობმა შეადგინა- 104 712 ჰა. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 16 სექტემბრის N335/ს ბრძანებით, რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნის მიზნით, ლიცენზიის მფლობელის 2022 წლის 24 აგვისტოს N01-220824/01 წერილით წარმოდგენილი

თანხმობით, განხორციელდა სალიცენზიო ფართობის შემცირება 7436 ჰექტარის ოდენობით, რის საფუძველზედაც სამონადირეო მეურნეობის სალიცენზიო ფართობი შეადგენს 97 276 ჰექტარს. აღნიშნული ბრძანებისა და სალიცენზიო ფართობის ცვლილების საფუძველზე, შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკაზე“ გაიცა ახალი N000019 სალიცენზიო მოწმობა.

აღნიშნული ცვლილების მიუხედავად, ძალაში დარჩა ლიცენზიანტისათვის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 23 მარტის N38/ს ბრძანებითა და მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N132 დადგენილებით, „სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემისათვის სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 იანვრის N134 განკარგულებით განსაზღვრული ძირითადი და დამატებითი სალიცენზიო პირობები.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, ლიცენზიის გაცემისას, გათვალისწინებული იქნა არაერთი მნიშვნელოვანი გარემოება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სამონადირეო მეურნეობა კონცენტრირებული უნდა იყოს სანადირო სახეობებისა და მათი პოპულაციების ირგვლივ, მათ აღდგენაზე, ბუნებრივ და ხელოვნურად პირობებში აღწარმოებაზე, გამრავლების ხელშეწყობასა და დაცვაზე. სალიცენზიო ფართობზე უნდა განხორციელებულიყო რეგიონში დიდი ხნის წინ გამქრალი სახეობების: კეთილშობილი ირემის და ბიზონის (დომბა) რეინტროდუქცია და პოპულაციების აღდგენა, ცხოველთა სახეობების (მათ შორის როგორც სანადირო, ისე საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობების) ბიომრავალფეროვნების დაცვა, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, რის უზრუნველსაყოფადაც დადგინდა სახელმწიფოს და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვის ვრცელი და მნიშვნელოვანი სალიცენზიო პირობები, რომელსაც მნიშვნელოვნად უნდა შეეწყო ხელი როგორც რეგიონულ განვითარებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების, ასევე ტურიზმის განვითარებისა და ადგილობრივ პირთა შემოსავლების გაზრდისათვის.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა''-ზე (ს/კ 405352363) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 23 მარტის N38/ს ბრძანების საფუძველზე მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იყო: ლიცენზიის გაცემიდან 12 თვის განმავლობაში სამინისტროში წარადგინოს სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის პროექტი მის მიერ სალიცენზიო ფართობზე არსებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტების შესახებ, წლის სხვადასხვა სეზონისთვის ჩატარებული კვლევის საფუძველზე, სამინისტროსთან შეთანხმებული სქემისა და

მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა, მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დადგინდა, რომ ლიცენზიანტის მიერ აღნიშნული პირობა წინამდებარე გადაწყვეტილების მიღების პერიოდშიც კი შესრულებული არ არის.

სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმას დეტალურად უნდა განესაზღვრა სანადირო არეალები და ამავდროულად, სამონადირეო მეურნეობის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები. საქართველოს კანონმდებლობა სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის განხილვის მიზნით ითვალისწინებს საჯარო განხილვების გამჭირვალე პროცედურებს, ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობით, რათა მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული და ასახული ადგილობრივი მოსახლეობის, რეგიონის განვითარების ინტერესები. იმის გამო, რომ არ მომზადდა მართვის გეგმა და არც საჯარო შეხვედრები ჩატარებულა, სალიცენზიო პირობებთან ერთად, ლიცენზიანტის მიერ დაირღვა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე, 2022 წლის 20 დეკემბერს (N36355) სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში განსახილველად შემოვიდა ორგანიზაცია CENN-ის (რომელიც ახორციელებს ევროკავშირის პროექტს საქართველოს კლიმატის ცვლილების პროგრამა (GEO-CAP): სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაში) რაჭის რეგიონის კლიმატის სამოქმედო ჯგუფის (CAG) წევრების (12 წევრის ხელმოწერით) 2022 წლის 15 დეკემბრის განცხადება, რომელიც ეხებოდა სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის (№ 000019) მართვის გეგმის შედგენის პროცესში მათი მხრიდან მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას. საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, ორგანიზაცია ითხოვდა საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად და მათი აქტიური მონაწილეობით სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შემუშავების პროცესში ჩართვას. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 26 დეკემბრის N21/8181 წერილით აღნიშნული წერილი გადაეგზავნა შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას'' და ეთხოვა განეხილა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის ეცნობებინა მოსაზრება დასმულ საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნულ წერილზე ლიცენზიის მფლობელს რეაგირება არ მოუხდენია და სააგენტოსათვის ინფორმაცია არ მოუწოდებია, რაც მეტყველებს ამ საკითხის მიმართ გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესის პირობებში, კომპანიის მხრიდან ინტერესის არარსებობაზე, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოებთან და დაინტერესებულ პირებთან, ასევე ამ მხრივ სალიცენზიო პირობის შესრულებასთან მიმართებით

ზემოაღნიშნული ბრძანებით, ლიცენზიის მფლობელს ასევე ევალებოდა ,,საქმიანობის დაწყებამდე, სამინისტროში შეთანხმებისთვის წარმოადგინოს ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე (რომელთაც ემთხვევა სამონადირეო მეურნეობის მოთხოვნილი ფართობი) ზემოქმედების ანგარიში". მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დადგინდა, რომ ლიცენზიანტის მიერ, ასევე ამ დრომდე არ შესრულებულა და წარმოდგენილი არ არის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 26 დეკემბრის N12237/01 წერილის საფუძველზე, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ 2022 წლის 27 დეკემბრის N11/9382 წერილით, ლიცენზიანტისათვის მოთხოვნილი ზურმუხტის ქსელის შეფასების დოკუმენტაცია. გარდა იმისა, რომ უნიკალური ჰაბიტატებისა და სახეობების დაცვა, ასევე

ცხოველთა მდგრადი სარგებლობის უზრუნველყოფა, რომელთა დაცვასაც ემსახურება ზურმუხტის ქსელი საქართველოში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეროვნული მიზანია, ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასების მოთხოვნა საერთაშორისო ვალდებულებებითაცაა განპირობებული. აღსანიშნავია, რომ ზურმუხტის ქსელის ჩამოყალიბება ჩვენი ქვეყნის ვალდებულებაა საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულების მიხედვითაც. აღნიშნული ქსელი შექმნილია „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის (ბერნი, 1979) შესაბამისად. საქართველო ვალდებულია 2020 წლიდან უზრუნველყოს ზურმუხტის ქსელის სრულფასოვანი ფუნქციონირება. კონვენციის მიხედვით, ნადირობასთან დაკავშირებული შეზღუდვები მხოლოდ მაშინ დაწესდება, თუ ეს საქმიანობა წინააღმდეგობაში მოდის მოცემული ტერიტორიის მიზნებსა და ამოცანებთან. ასეთი შეზღუდვების აუცილებლობის შემთხვევაში, სახელმწიფოს ექნება შეზღუდვების დაწესების უფლებამოსილება და ლიცენზიანტი ვალდებული იქნება დაიცვას ისინი. შესაბამისად, აღნიშნული კვლევის ანგარიშის წარმოდგენის გარეშე შეუძლებელია საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება, ისევე როგორც მართვის გეგმის შემუშავება, ასევე მისი განხილვა და დამტკიცება. აქედან გამომდინარე, საჭირო იყო ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე ზემოქმედების ანგარიშით გათვალისწინებული საკითხის სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმაში ინტეგრირება და სამინისტროში შეთანხმებისთვის წარდგენა. ამასთან, სალიცენზიო პირობების „უ“ ქვეპუნქტით, ლიცენზიის მფლობელმა „სანადირო რესურსით მდგრადი სარგებლობის უზრუნველსაყოფად, ლიცენზიით სარგებლობის მთელ პერიოდში განახორციელოს სანადირო სახეობების ეკოლოგიასთან დაკავშირებული საკითხების (ცხოველთა საბინადრო გარემოს, მათი ქცევის, მიგრაციის, გამრავლების, კვების და ა.შ.) შესწავლა-შეფასება სამონადირეო მეურნეობის მთელ ტერიტორიაზე, ზურმუხტის ქსელის ჩათვლით“. ეს ჩანაწერიც ადასტურებს, რომ კვლევების ჩატარება არ უკავშირდება და დამოკიდებული არ არის რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს დამატებითი ქმედების განხორციელებაზე.

გარდა ამისა,, სალიცენზიო პირობებით ლიცენზიანტს ევალება, სისტემატურად განახორციელოს გაცნობითი შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, ითანამშრომლოს შესაბამის მუნიციპალიტეტთან, რათა თავისი საქმიანობის პროცესში გათვალისწინებულ იქნეს ადგილობრივი მოსახლეობისა და მეწარმეთა ინტერესები. მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დადგინდა, რომ კომპანიის მიერ ეს მოთხოვნაც არ შესრულდ**ა.**

აღსანიშნავია ,,გარემოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ'' კონვენციის მე-3 მუხლი მე-2 პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმად ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოსდაცვით სფეროში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა

და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (https://matsne.gov.ge/ka/document/view/1210443?publication=0) კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, რომ კონვენციის I დანართში ჩამოთვლილი შემოთავაზებული საქმიანობის ნებართვაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს. კონვენცია, ასევე მიუთითებს, რომ საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში სახელმწიფო აგრეთვე გამოიყენებს წინამდებარე თავის დებულებებს იმ შემოთავაზებულ საქმიანობებში, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი I დანართში, თუმცა შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ გარემოზე. ამისათვის მხარეებმა უნდა განსაზღვრონ, რამდენად ეხება ასეთი სახის შემოთავაზებული საქმიანობა წინამდებარე დებულებებს.

ვინაიდან ,,ტყითსარგებლობის წესის შესახებ'' დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილება არ ითვალისწინებს სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიის გაცემის პროცესში საზოგადოების მონაწილეობის სპეციალურ ფორმებს და საჯარო განხილვებს (ეს პროცესი გათვალისწინებულია სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცებისას), ამავდროულად, სახელმწიფოს პრიორიტეტია საერთაშორისო ვალდებულებების დაცვა, სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ შესაბამისი ლიცენზიის გაცემის მიზნით დაწყებული/მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შეასრულა ყველა სავალდებულო პირობა, რაც მას ევალებოდა შესაბამისი მარეგულირებელი ნორმებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საზოგადოების ჩართულობის კუთხით. ადგილობრივ მოსახლეობასთან საკითხის შეჯერების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან სააგენტოს მიერ ასევე, გამოთხოვილი იქნა აუქციონის გამოცხადებასა და დამატებით სალიცენზიო პირობებთან დაკავშირებით წერილობითი მოსაზრებები. ასევე, სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ეს მოთხოვნა გაითვალისწინა აგრეთვე სალიცენზიო პირობებში. თუმცა, როგორც რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული წერილებით დასტურდება, ლიცენზიის გაცემიდან დღემდე, ლიცენზიის მფლობელს არ განუხორციელებია ლიცენზიის მოქმედების არეალში არსებული მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობასა და მოსახლეობასთან არანაირი კომუნიკაცია, რამაც გამოიწვია მოსახლეობის ინტერესების უგულვებელყოფა, განსახორციელებელი საქმიანობის გაუმჭვირვალედ წარმოებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული რისკების თვალსაზრისით. აღნიშნულის გამო, ინვესტორის მხრიდან ინფორმაციის გაზიარების ნაკლებობამ, პროექტისა და გეგმების თაობაზე მოსახლეობასთან კომუნიკაციის არარსებობამ, გამოიწვია ადგილობრივი საზოგადოების უნდობლობა და პროექტის მიუღებლობა, რაც სახელმწიფო რწმუნებულის აზრით, შეუძლებელს ხდის მის განხორციელებას.

ლიცენზიის გაცემიდან დღემდე განვითარებული/მიმდინარე ფაქტობრივი გარემოებები წარმოადგენს სპეციფიკურ გარემოებას, რომელიც ერთობლიობაში, ლიცენზიის მფლობელის მიერ შეუსრულებელ ვალდებულებასთან ერთად, ქმნის საკმარის საფუძვლებს სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის ძალადაკარგულად გამოცხადებისთვის. გასათვალისწინებელია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან პროექტის

განხორციელებაში მონაწილეობის მიუღებლობა და პრინციპული წინააღმდეგობა ასევე იწვევს სხვა სალიცენზიო პირობის განხორციელების შეუძლებლობასაც, რომლის ერთ-ერთ მაგალითია, სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მფლობელის ვალდებულება, მოქმედების პერიოდში, უზრუნველყოს, რომ სამონადირეო მეურნეობაში დასაქმებული პერსონალის 80% წარმოადგენდეს იმ მუნიციპალიტეტების ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებსაც მოიცავს ლიცენზია".

.აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს იმაზეც, რომ სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიის ფართობის გათვალისწინებით, მეურნეობის გამართულ ფუნქციონირებასა და ვალდებულებების დროულ შესრულებას აქვს მნიშვნელოვანი სოციალ/ეკონომიკური დატვირთვა. რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დამოკიდებულია ტყის ბუნებრივ რესურსებზე. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა განსაზღვრავს ლიცენზიის მფლობელის ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს ადგილობრივ მოსახლეობას პირადი მოხმარების მიზნით ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობასა და საშეშე მერქნით მომარაგებაში, შექმნილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე რისკის ქვეშ დგება სამეწარმეო მიზნით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სამონადირეო მეურნეობის ფართობის გამოყენების შესაძლებლობა და სარგებლობის წესი. ეს საკითხი უნდა მოწესრიგებულიყო ორი მთავარი მექანიზმით: მართვის გეგმითა და სისტემატური კომუნიკაციით ადგილობრივ მოსახლეობასთან მათთან თანამშრომლობისა და მათი საჭიროებების გათვალისწინების მექანიზმების მართვის გეგმაში ასახვით. ამ მიმართულებით დასაწყისშივე, კომპანიის უმოქმედობა აშკარა საფუძველია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ლიცენზიის მფლობელისთვის ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვადების განსაზღვრას შედეგები არ მოყვება, მით უმეტეს, სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ 2022 წლის 25 ნოემბრის N 21/7200 წერილით, ლიცენზიანტს დამატებით აცნობა სალიცენზიო ვალდებულებების დროულად შესრულების აუცილებლობის შესახებ. ლიცენზიანტმა არ მიიღო ზომები არა მხოლოდ მართვის გეგმის დოკუმენტის შემუშავების, არამედ ამ პროცესისათვის აუცილებელი მოთხოვნების დაცვის მიზნით, პირიქით, ლიცენზიის მფლობელის კომუნიკაცია სამინისტროსა და მისი სისტემის ორგანოებთან ეფუძნებოდა ვალდებულებების შესრულების გადავადებას და საამისო საფუძვლების შექმნას სალიცენზიო ფართობის ცვლილებისა თუ ლიცენზიასთან დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო დავის გამო. აშკარაა, რომ ლიცენზიის მფლობელი არ გეგმავს სალიცენზიო ვალდებულებების კანონით დადგენილი წესით შესრულებას. შესაბამისად იკვეთება გარემოება, რომ ლიცენზიით განსაზღვრული მიზნების მიღწევა შეუძლებელია. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ, მათ შორის შეისწავლა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ლიცენზიანტის მიერ წარმოდგენილი სხვა კორესპონდენციაც. კერძოდ, ლიცენზიის მფლობელის მიმდინარე წლის 22 სექტემბრის N01-230922-01 (სააგენტოში რეგ. N34957) წერილით წარმოდგენილი არგუმენტაცია, რომ მიღება-ჩაბარების აქტის გარეშე შეუძლებელია სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის მომზადება, მოკლებულია საფუძველს შემდეგ გარემოებათა გამო: 1) სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის წლის 29 სექტემბრის N21/5753 წერილით, შესაბამის ბრძანებასთან ერთად, შპს "ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას" ოფიციალურად გაეგზავნა სალიცენზიო ფართობის შეიპ-ფაილები; 2) საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილება „ტყით სარგებლობის

ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ მართვის გეგმის წარდგენას უკავშირებს ლიცენზიის გაცემას და არა მიღება-ჩაბარების გაფორმებას, რომელიც ხორციელდება ეტაპობრივად, ეს პროცესი სავალდებულოა მართვის გეგმის დამტკიცებისათვის და არა წარდგენისათვის. შესაბამისად, სალიცენზიო ფართობის მიღება-ჩაბარება არ წარმოადგენს კვლევების ჩატარების დამაბრკოლებელ გარემოებას.

იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიანტს მიღება-ჩაბარების გარეშე შეუძლებლად მიაჩნდა მართვის გეგმის წარმოდგენა, ვალდებულების შეუსრულებლობის თავიდან ასაცილებლად, მას უნდა განეხორციელებინა სათანადო კომუნიკაცია სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან, ან მის გარეშეც, კანონით დადგენილი წესით, სასამართლო წესით მოეთხოვა ქმედების განხორციელება (მიღება-ჩაბარება) სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსაგან, რაც არ განუხორციელებია.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ლიცენზიის მფლობელს მოეთხოვა ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასების ჩატარება ტყითსარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, ამასთან, ტერიტორიის მიღება-ჩაბარებისათვის მზაობა სსიპ - ეროვნულმა სატყეო სააგენტომ გამოხატა ლიცენზიის მფლობელისათვის 2022 წლის 30 დეკემბრის N11/9481 წერილით.

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 16 ნოემბრის N21/9941 წერილის საპასუხოდ, შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას“ მიერ 2023 წლის 22 ნოემბრის N01-231122/02 წერილით წარმოდგენილ იქნა კომპანიის პოზიცია, რომლითაც ლიცენზიის მფლობელი სალიცენზიო ვალდებულებების შეუსრულებლობას უკავშირებს სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული, სალიცენზიო ფართობის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მიღება-ჩაბარების პროცედურის განუხორციელებლობას. ლიცენზიის მფლობელი ასევე მიუთითებს სალიცენზიო ვალდებულებების გადავადების შუამდგომლობებზე. უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობით სამონადირეო მეურნეობის სალიცენზიო ფართობზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება სცილდება სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით უფლებამოსილი ორგანოა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო, რაც ცნობილია ლიცენზიანტისათვის. რაც შეეხება, ლიცენზიით გათვალისწინებული ვალდებულებების გონივრული ვადით გადავადებას, გასათვალისწინებელია, რომ „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N132 დადგენილების მე-3 მუხლის, „სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემისათვის სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 იანვრის N134 განკარგულება არ იძლევა სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით განსაზღვრული სალიცენზიო ვალდებულებების გადავადების შესაძლებლობას.

წერილში მითითებულია ასევე, რომ ლიცენზიანტმა სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმა ვერ წარუდგინა სამინისტროს ვინაიდან, სალიცენზიო ფართობი შეიპ-ფაილებით არ იყო დაზუსტებული. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის წლის 29 სექტემბრის

N21/5753 წერილით, შესაბამის ბრძანებასთან ერთად, შპს "ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას“ გაეგზავნა კორექტირებული სალიცენზიო ფართობის შეიპ ფაილები 97 276 ჰექტარზე, რომელიც იძლეოდა როგორც ტერიტორიის იდენტიფიცირების, ასევე ამ ტერიტორიაზე კვლევების ჩატარების შესაძლებლობას. დამატებით აღსანიშნავია, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 28 მარტის N21/948 წერილით, ლიცენზიის მფლობელს გაეგზავნა სალიცენზიო ფართობის თავდაპირველი ფართობის შეიპ-ფაილები. შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია მტკიცება, რომ სალიცენზიო ფართობის ზუსტი საზღვრები ვერ დგინდება.

რაც შეეხება, ლიცენზიის მფლობელის მოსაზრებას, რომ სალიცენზიო ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძვლით ლიცენზიის ძალადაკარგულად გამოცხადება უსაფუძვლოა და არაკანონიერი, აღნიშნულთან დაკავშირებით სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს პოზიცია წარმოდგენილია წინამდებარე აქტის დასაბუთებაში და მიგვაჩნია, რომ სხვა ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის გონივრულ ბალანსს და სალიცენზიო ვალდებულებების შესრულებას, ამასთან, ლიცენზიის მოქმედების გაგრძელებამ შეიძლება გამოიწვიოს უფრო მეტი ზიანი, ვიდრე მისმა გაუქმებამ.

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და დოკუმენტაციის სამართლებრივი შეფასების, მხარეთა ახსნა-განმარტებების წარმოდგენის/მოსმენისა და არსებული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიაჩნია, რომ მიღებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილება შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა''-ზე გაცემული სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის (№000019) ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

2. გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება:

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით. „გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის„გ" და „ე" ქვეპუნქტებით, კანონის მიზანია: უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად და ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით; შეინარჩუნოს და დაიცვას თვითმყოფადი ლანდშაფტები და ეკოსისტემები, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ოუნქტის„დ" და „ე" ქვეპუნქტების თანახმად კი კანონის ძირითადი ამოცანებია: უზრუნველყოს საზოგადოების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების შესაბამისობა და სამართლებრივად უზრუნველყოს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მართვა გარემოს პოტენციური შესაძლებლობებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.

სწორედ ზემოაღნიშნული მაღალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესი, ბუნებრივი რესურსების დანიშნულება და გამოყენების მნიშვნელობა განაპირობებს საჯარო ინტერესის უპირატესობას და მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი პირის უფლება დაცული და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორის სამართლის

ნორმებით, ადმინისტრაციული კანონმდებლობის ფარგლებში, საჯარო და კერძო ინტერესთა პროპორციულობა აბალანსებს და იცავს თითოეული ლიცენზიის მფლობელის უფლებას დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო შეზღუდვისაგან. მოცემულ შემთხვევაში, ამ ორ სიკეთეს (საჯარო და კერძო ინტერესს) შორის უპირატესი საჯარო ინტერესია, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ლიცენზიის მფლობელი, ლიცენზიის მიღებისთანავე იზღუდება ვალდებულებებითა და სალიცენზიო პირობებით, რომლის შესრულების პირობითაც ენიჭება მას ბუნებრივი რესურსით სარგებლობის უფლება და რომელთა შეუსრულებლობაც, ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების/გატარების უფლებას.

,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ა'' და „პ" ქვეპუნქტების თანახმად, ლიცენზია არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე პირისათვის კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე მინიჭებული განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება, ხოლო ლიცენზიის მფლობელი არის პირი, რომელსაც ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე მინიჭებული აქვს უფლება, განახორციელოს ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობა, ისარგებლოს სახელმწიფო რესურსით. ამავე მუხლის ,,ა.ა'' ქვეპუნქტის მიხედვით, სარგებლობის ლიცენზია არის ლიცენზიის სახეობა, რომლითაც პირს ენიჭება ამ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო რესურსებით სარგებლობის უფლება. ხოლო, ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „გ" პუნქტის თანახმად: სარგებლობის ლიცენზიის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია. ამავე კანონის თანახმად, საქმიანობის ან ქმედების სახელმწიფო რეგულირება ლიცენზიით ან ნებართვით ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა ან ქმედება უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებულ საფრთხეს ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის სფეროებს. სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ ლიცენზიის ან ნებართვის გაცემით რეალურად შესაძლებელია აღნიშნული საფრთხის შემცირება ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება. ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით საქმიანობის ან ქმედების ლიცენზიით ან ნებართვით რეგულირების მიზანი და ძირითადი პრინციპებია: ბ) ადამიანის საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა; გ) სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.

სავალდებულოა, რომ სახელმწიფო რესურსებით ნებისმიერმა მოსარგებლემ უზრუნველყოს სალიცენზიო ვალდებულების დროულად შესრულება. ლიცენზიის გამცემი ლიცენზიის გაუქმებასთან ან ძალაში დატოვებასთან დაკავშირებით, ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში, არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მოქმედი საკითხის მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს გაცემულ ლიცენზიასთან მიმართებაში, სალიცენზიო პირობების ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა და დარღვევების გათვალისწინებით. შესაბამისად, კანონმდებელმა, ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით დაუშვა ბუნებრივი რესურსით სარგებლობა, თუმცა იქვე შეზღუდა ეს უფლება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესთა

თანაფარდობის ვალდებულებით. აქედან გამომდინარე, პირის უფლება - თავისუფლად ფლობდეს და განკარგავდეს კონკრეტული სარგებლობის ლიცენზიას, არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და იბოჭება ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულოდ შესასრულებელი პირობებით. კერძოდ: ლიცენზიით დადგენილი მოთხოვნებითა და ვალდებულებებით, ლიცენზიის ვადითა და სხვა პირობებით.

ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში, არსებითად მნიშვნელოვანია შეფასდეს თითოეული სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნები და დანიშნულება. შესაბამისად, ლიცენზია, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობის უფლება-არამატერიალური სიკეთე, არ წარმოადგენს შეუზღუდავ და აბსოლუტურ უფლებას და მისი გამოყენება ნებადართულია მხოლოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიის ფარგლებში.

გასათვალისწინებელია, რომ ლიცენზიის მფლობელს ჰქონდა სრული შესაძლებლობა გამოეჩინა ინიციატივები და აქტივობა ყველა იმ მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად, რაც კრიტიკულად აუცილებელია აღნიშნული მასშტაბის მქონე ფართობზე სამეურნეო საქმიანობის საწარმოებლად. ამასთან, ლიცენზიის მფლობელის მიმართ რაიმე სახის სანქციის გატარებას-დაჯარიმებას შედეგი არ მოყვება, რადგან გასულია მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მართვის გეგმის მომზადებისა და კვლევების, ტერიტორიის მიღება-ჩაბარების კანონმდებლობით განსაზღვრული ვადები.

გასათვალისწინებელია, რომ სალიცენზიო პირობების თანახმად, ლიცენზიის გაცემისთანავე ლიცენზიის მფლობელს ეკისრება სალიცენზიო ფართობის დაცვის ვალდებულებაც. სამინისტროში არ არის ლიცენზიანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და გაურკვეველია (მიუხედავად იმისა, რომ ეს ვალდებულება ძალაშია ლიცენზიის გაცემისთანავე), რა ღონისძიებებს ატარებს ლიცენზიანტი და არის თუ არა მზად ამ ვალდებულების შესრულებისათვის კონკრეტული საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობა სალიცენზიო პირობების შესრულებისა და მათ შორის, სახელმწიფო ტყის ბიომრავალფეროვნებისა და სალიცენზიო ფართობის დაცვის ვალდებულებისაგან განთავისუფლების რაიმე საგამონაკლისო/საშეღავათო პირობებსა და სალიცენზიო პირობების დარღვევისას პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებებს არ ითვალისწინებს. რამდენადაც, დიდია ტყის ბუნებრივი რესურსის მნიშვნელობა და დანიშნულება, იმდენად მკაცრია სახელმწიფოს მხრიდან მისი გამოყენების პირობები და წესი.

ლიცენზიის პირობებით განსაზღვრული სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმასა და სალიცენზიო ფართობის დაცვის ვალდებულებებთან დაკავშირებით დამატებით აღსანიშნავია, რომ სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმა წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს კონკრეტული ლიცენზიის მფლობელისა და სამონადირეო მეურნეობის საქმიანობასთან დაკავშირებული დაინტერესებული მხარეებისათვის, რომელშიც გათვალიწინებული უნდა იყოს ყველა ის სამომავლოდ განსახორციელებელი ღონისძიება, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს სარგებლობის ლიცენზიის რაციონალურ გამოყენებასა და მის პარალელურად სალიცენზიო ფართობის დაცვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. ეს

იმპერატიული ვალდებულება, ლიცენზიის მფლობელს, ლიცენზიის გადაცემის მომენტიდანვე წარმოეშობა, რომლის შესრულებაზეც სრულად პასუხისმგებელია ლიცენზიის მფლობელი. სახელმწიფოსა და ლიცენზიის მფლობელს შორის, კანონისმიერი ურთიერთობა, თავიდანვე გამორიცხავს ლიცენზიის მფლობელის, სალიცენზიო ფართობის დაცვის ვალდებულების სახელმწიფო ან/და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებსა თუ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გადანაწილების მოლოდინსა და შესაძლებლობას.

ამასთან, ლიცენზია თავიდანვე შეთანხმებაა ორ მხარეს: სახელმწიფოსა და ლიცენზიის მიმღებს შორის. ხოლო ლიცენზიის მიღებით, ლიცენზიის მიმღები, ეთანხმება იმ პირობებს, რომ სწორედ ამ და სხვა პირობებთან ერთად, ლიცენზიის მიღებისთანავე ვალდებულია თვითონ უზრუნველყოს სალიცენზიო ფართობის დაცვა, ხოლო ლიცენზიის გამცემს, კონკრეტული ლიცენზიის გაცემისთანავე. ტყის დაცვის, როგორც უმთავრესი სალიცენზიო პირობის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს სალიცენზიო ფართობზე ნებისმიერი სახის უკანონო ქმედების არსებობაში, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს გარემოზე ზიანის მიყენება. შესაბამისად, ნებისმიერი დაცვის ღონისძიება ლიცენზიის მფლობელის მიერ ისე უნდა იქნეს შემუშავებული და განხორციელებული, რომ მხოლოდ დაუძლეველი ძალის არსებობის შემთხვევაში გამოირიცხოს ლიცენზიის მფლობელის პასუხისმგებლობის საკითხი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ლიცენზიის მფლობელის მიერ არ იქნა წარმოდგენილი სალიცენზიო ფართობის დაცვის მიზნით განხორციელებული ეფექტური და ქმედითი ღონისძიებების დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელიც უზრუნველყოფდა სალიცენზიო ფართობის დაცვას და მაქსიმალურად გამორიცხავდა გარემოზე ზიანის მიყენების რისკებს. მეტიც, ვერ მოხდა იმის დადასტურებაც კი, რომ ლიცენზიის მფლობელს აქვს სალიცენზიო ფართობის დაცვის მზაობა ან/და რაიმე გეგმა.

გასათვალისწინებელია, რომ ლიცენზიის გაცემიდან გასულია წელიწადი და რვა თვე. აღნიშნული საკმარისი დროა იმისათვის, რომ ლიცენზიის მფლობელს შეემუშავებინა სალიცენზიო ფართობის დაცვის გეგმა და საჭიროებიდან გამომდინარე შესაბამისი ექსპერტების/სპეციალისტების დახმარებით წარმოედგინა სამინისტროში შემდგომი პროცედურებისათვის. მით უმეტეს, რომ ეს მისი პირდაპირი ვალდებულებაა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობამ ერთმანეთისგან გამიჯნა და ცალ-ცალკე სალიცენზიო პირობად გაითვალისწინა სალიცენზიო ფართობის დაცვისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების ვალდებულება და მართვის გეგმის შემუშავების ვალდებულება. საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებს, რომ ლიცენზიის მფლობელის მიერ ვერ განხორციელდება ამ სალიცენზიო პირობების შესრულება.

მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, განხილვისა და შეფასების ობიექტი არის სალიცენზიო პირობების შესრულება კონკრეტული ლიცენზიის ფარგლებში, კერძოდ: რა სახის და რა მნიშვნელობის მქონე დარღვევაა სახეზე. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიზანიც კონკრეტული ლიცენზიის გაუქმებასთან დაკავშირებით, სწორედ ის არის, რომ არამხოლოდ ერთიდაიმავე სალიცენზიო პირობის დარღვევების გარკვეული რაოდენობის არსებობის შემდეგ კი არ შეიძლება გაუქმდეს ლიცენზია, არამედ, რამდენიმე

სალიცენზიო პირობის დარღვევის ან/და თუნდაც ერთი სალიცენზიო პირობის დარღვევამაც, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე (თუ შემდგომშიც ნებისმიერი სახის ღონისძიების გატარებაც შედეგის მომტანი ვერ იქნება), შეიძლება წარმოშოს გამოიწვიოს ლიცენზიის გაუქმების საჭიროება.

აღნიშნულ ლიცენზიასთან მიმართებაში, ერთობლიობაში უნდა შეფასდეს სალიცენზიო პირობების ხასიათი და მნიშვნელობა და მოხდეს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება. ამ შემთხვევაში, ლიცენზიის ძალაში დატოვებისათვის ან/და გაუქმების დროს არსებითად მნიშვნელოვანი ვეღარ იქნება დაინტერესებული მხარის მიერ ერთჯერადად მოხდა თუ რამდენჯერმე განმეორდა სამართალდარღვევის ფაქტი. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საჯარიმო სანქციის თანხის გადახდაც კი არ წარმოადგენს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსის ოპტიმალურად, რაციონალურად გამოყენების ვალდებულებისაგან განთავისუფლების საფუძველსა და ლიცენზიის გაუქმების გამომრიცხავ გარემოებას, ვინაიდან, სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობის საპასუხო სანქცია ატარებს სამომავლოდ დარღვევების თავიდან აცილების მიზანს და ის არ ათავისუფლებს ლიცენზიის მფლობელს სამომავლოდ სალიცენზიო პირობების შესრულების ვალდებულებებისაგან. თუ ნებისმიერი ლიცენზიის მფლობელი არ შეასრულებს სალიცენზიო პირობას იმ მოტივით, რომ გადაიხდის ჯარიმას, უგულებელყოფილი იქნება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესი, რაც შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას მიიღოს ადეკვატური ზომები, მათ შორის, აუცილებლობის შემთხვევაში, გააუქმოს ლიცენზია.

მოცემულ შემთხვევაში, არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ლიცენზიის ძალაში დატოვება გარემოს მიაყენებს უფრო მეტ ზიანს, ვიდრე მისი გაუქმება.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებათა გამოკვლევის სტანდარტის ფარგლებში, აღნიშნულ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ლიცენზიანტის მიერ არცერთი სალიცენზიო პირობების შესრულების თაობაზე ან შესრულების მიზნით, დღემდე შესაბამისი ინფორმაცია არ წარმოდგენილა სამინისტროში. ლიცენზიანტის მომართვები შეეხებოდა მხოლოდ მიღება-ჩაბარებას და მართვის გეგმის წარმოდგენის, საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების გადავადებას, მაშინ როდესაც აუცილებელი კვლევები და სამუშაოები იყო ჩასატარებელი იმისათვის, რომ მომზადებულიყო სალიცენზიო პირობებით დადგენილი დოკუმენტაცია. ეს პროცესი ლიცენზიანტს არ დაუწყია და გარემოებები ადასტურებს, რომ არც გააჩნია მისი დაწყების მზაობა. მით უფრო, რომ ამ ვითარებაში, როდესაც კომპანია მაქსიმალურად უნდა აქტიურობდეს მათ შორის ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან და თემებთან ურთიერთობებში, მსგავსი მოთხოვნები კიდევ მეტად ამყარებს პოზიციას, რომ ლიცენზიანტი არსებითი საკითხების და სალიცენზიო პირობების შესრულების ნაცვლად, მიზნად ისახავს ვალდებულებების შესრულებისაგან თავის არიდებას.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო იზიარებს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2023 წლის 13 ნოემბრის DES 2 23 00084050 წერილში წარმოდგენილ არგუმენტაციას, რომლის მიხედვითაც, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად, ლიცენზიის მფლობელის მიერ კანონით

დადგენილი სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება კანონით. ლიცენზიის გამცემი განსაზღვრავს გონივრულ ვადას სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილებისათვის და დაადგენს იმ პირობებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისათვის. აქვე, გასათვალისწინებელია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის პოზიცია: ვინაიდან შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა" სასამართლოს მიერ არ იქნა ცნობილი სამართალდამრღვევად, დეპარტამენტმა აღნიშნა, რომ მოკლებულია შესაძლებლობას, დასვას საკითხი სააგენტოს წინაშე სალიცენზიო ვალდებულების შესასრულებლად გონივრული ვადების განსაზღვრასთან დაკავშირებით, რომ დღეს არსებული მდგომარეობით, შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას'' მხრიდან სალიცენზიო პირობები არ არის შესრულებული; ასევე შეუძლებელია ლიცენზიით განსაზღვრული მიზნების მიღწევა და მოქმედი კანონმდებლობით სამართლებრივი მექანიზმი სალიცენზიო პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული არ არის. მართვის გეგმის წარმოდგენის უზრუნველყოფის ბერკეტები სახელმწიფოს აღარ აქვს, რადგან „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად, სალიცენზიო პირობის შესრულების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ჯარიმის დაკისრება სასამართლოს მიერ. შესაბამისად, ახალი გონივრული ვადების დადგენა მოკლებულია სათანადო სამართლებრივ საფუძველს. არ არსებობს მართვის გეგმის თუნდაც დამატებით ვადებში ან კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის საფუძველზე დადგენილ ვადებში ლიცენზიანტის მიერ წარმოდგენის რაციონალური მოლოდინი, მით უმეტეს, მთელ სალიცენზიო ფართობზე კვლევა უნდა ჩატარდეს სეზონების მიხედვით და არც ამ კვლევის სქემაა წარმოდგენილი სამინისტროსთან შესათანხმებლად. მართვის გეგმის წარმოდგენის დროში გაწელვა კი აზიანებს არა მხოლოდ სალიცენზიო პირობების დროული შესრულების პროცესს, არამედ საზოგადოებრივ და სახელმწიფო ინტერესებს.

გარდა ამისა, ლიცენზიანტს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 25 ნოემბრის N21/7200 წერილით გაეგზავნა სპეციალური შეხსენება ვადამოსული სალიცენზიო ვალდებულებების შესრულების აუცილებლობისა და ვადების შესახებ. ამის მიუხედავად, ლიცენზიანტმა არანაირი ნაბიჯი არ გადადგა არა მხოლოდ მართვის გეგმის დოკუმენტის შემუშავების, არამედ ამ პროცესისათვის აუცილებელი მოთხოვნების დაცვის მიზნით. სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის სრულყოფილად მოსამზადებლად ლიცენზიანტს ევალებოდა სალიცენზიო ფართობზე არსებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტების შესახებ, წლის სხვადასხვა სეზონისთვის ჩატარებული კვლევების ჩატარება, სამინისტროსთან შეთანხმებული სქემისა და მოთხოვნების შესაბამისად. სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შემუშავება შესაძლებელი იყო ლიცენზიანტის მიერ, მისი ნების არსებობის შემთხვევაში, რადგან სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის წლის 29 სექტემბრის N21/5753 წერილით, შესაბამის ბრძანებასთან ერთად, შპს "ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას" გაეგზავნა კორექტირებული სალიცენზიო ფართობის შეიპ ფაილები 97 276 ჰექტარ ფართობზე. შესაბამისად, უსაფუძვლოა ლიცენზიანტის არგუმენტები, რომ სალიცენზიო ფართობის ზუსტი საზღვრები არ იყო ლიცენზიანტისათვის ცნობილი.

„ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზიით, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით ან სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით განსაზღვრული ფართობის მიღება-ჩაბარების განხორციელების წესისა და ფორმის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 10 სექტემბრის №33 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2-3 პუნქტების თანახმად,

„2. ლიცენზიის მიღებიდან 12 თვის ვადაში ლიცენზიანტი ვალდებულია უფლებამოსილი ორგანოსაგან ეტაპობრივად, თითოეული კვარტალის მიხედვით ჩაიბაროს ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორია დანართ 2-ში მოყვანილი მიღება-ჩაბარების აქტით.

3. ლიცენზიანტი და უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენლები ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ერთობლივად აღრიცხავენ უკანონო ჭრებს და სხვა დარღვევა-ნაკლოვანებებს, რაც შესაბამისად აისახება მიღება-ჩაბარების აქტში.“.

აღნიშნული ადასტურებს, რომ ტერიტორიის მიღება-ჩაბარება, ისევე როგორც სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის მომზადება უნდა განხორციელდეს ლიცენზიის მიღებიდან 12 თვის ვადაში. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ მიღება-ჩაბარების აქტის არარსებობა არ წარმოადგენს მართვის გეგმის მომზადებისა და შესაბამისი კვლევების დამაბრკოლებელ გარემოებას. უფრო მეტიც, მოქმედი კანონმდებლობა ლიცენზიის გაცემამდეც კი ავალდებულებს ნებართვის მაძიებელს ჩაატაროს ტყის ფართობის წინასწარი კვლევა. კერძოდ, „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილების მე-4 მუხლის 3[1] პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ლიცენზიის მაძიებელს წარმოადგინოს „ე) სალიცენზიო ფართობის წინასწარი შესწავლის/კვლევის ანგარიში, რაც უნდა მოიცავდეს საველე გასვლების საფუძველზე მომზადებულ ინფორმაციას (კვლევის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალის თანდართვით) მოთხოვნილ ტერიტორიაზე გავრცელებული მცენარეთა და ცხოველთა შესახებ, სახეობების ქართული და სამეცნიერო (ლათინური) დასახელებების მითითებით, მათ შორის, ნადირობის ობიექტები, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობები, სხვა მაღალი საკონსერვაციო ღირებულების სახეობები; მათი არსებული მდგომარეობის შეფასება, რიცხოვნობა; ტერიტორიაზე არსებული ძირითადი ჰაბიტატებისა და მათი მდგომარეობის შესახებ; საჭიროებისამებრ, სხვა დამატებითი ინფორმაცია;“.

რაც შეეხება, დაცვის ვალდებულებას, „ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზიით, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით ან სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით განსაზღვრული ფართობის მიღება-ჩაბარების განხორციელების წესისა და ფორმის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 10 სექტემბრის №33 ბრძანების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „მიღება-ჩაბარება ხორციელდება თითოეული კვარტალის გადაბარებით. კვარტალის გადაბარების შემდეგ გადაბარებული ტერიტორიის დაცვაზე (ვიდრე ლიცენზიანტი ლიცენზიით გათვალისწინებულ ფართობს მიღება-ჩაბარების აქტით არ დაუბრუნებს ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს) პასუხისმგებლობა ეკისრება ლიცენზიანტს.

სალიცენზიო პირობების თანახმად, ლიცენზიის მფლობელს ევალება შესაბამისი დოკუმენტების სამინისტროს მიერ შეთანხმებამდე არ განახორციელოს საქმიანობა, გარდა ტერიტორიის ფიზიკური დაცვისა, ზემოაღნიშნული კვლევების განსახორციელებლად საჭირო საქმიანობისა, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ქმედებებისა (ფორს-მაჟორი), სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში, შეზღუდული ინტენსივობით, შეთანხმებულ ფართობსა და სახეობებზე ნადირობის, დამტკიცებული კვოტების ფარგლებში". „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „გ1" ქვეპუნქტის თანახმად, „გ1) მართვის გეგმის დამტკიცებამდე აკრძალულია სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება, გარდა ტერიტორიის დაცვის ვალდებულებისა და აუცილებელი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებებისა;". ვალდებულება, რომ ლიცენზიანტმა უნდა განახორციელოს ამისათვის „აუცილებელი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები" ლიცენზიანტის ვალდებულებებზე სალიცენზიო ფართობის დაცვაზე მიუთითებს. ცხადია, თუ ტერიტორიის გადაბარებამდე მაკონტროლებელი ორგანოს მიერ გამოვლენილ იქნა უკანონო ტყითსარგებლობის უკვე მომხდარი ფაქტები იგი ვერ გახდება ფართობის გადაუბარებლობის პირობებში ლიცენზიის მფლობელის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძველი, თუმცა თუ მაკონტროლებელი ორგანო ადგილზე, სალიცენზიო ტერიტორიაზე გამოავლენს სამართალდამრღვევს და ვლინდება რომ ეს განპირობებულია ლიცენზიის მფლობელის მიერ სათანადო ღონისძიებების გატარების ვალდებულების შეუსრულებლობით, ეს გარემოება წარმოადგენს სალიცენზიო ვალდებულების დარღვევას.

შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც ლიცენზიანტი ვერ/არ იწყებს სალიცენზიო ვალდებულებების შესრულებას, არ მოუმზადებია საამისო პირობები და დოკუმენტაცია, პირიქით, ლიცენზიანტის წარმოდგენილი მოთხოვნები ადასტურებს, რომ სახელმწიფოს ქმედებებს, კვლავ დაავალდებულოს ლიცენზიანტი სალიცენზიო პირობების შესრულების მიზნით, არ მოჰყვება შედეგები, რაც სალიცენზიო პირობების შესრულების უზრუნველყოფას გულისხმობს და რაზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვა და რეგიონის განვითარება, როდესაც მიუღწეველი ხდება ლიცენზიით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა, ლიცენზიის გამცემს რჩება ერთადერთი გზა ლიცენზიის გაუქმების გზით მიაღწიოს თანაფარდობას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესს შორის.

ლიცენზიანტსა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივი ურთიერთობები უნდა ეფუძნებოდეს კეთილსინდისიერების პრინციპს და ემსახურებოდეს მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას, ორივე მხარის კანონიერი ინტერესის დაცვას. ლიცენზიით სარგებლობა ისე უნდა განხორციელდეს, რომ არ დაირღვეს, საჯარო და კერძო ინტერესთა დაცვის ბალანსი. სახეზე უნდა იყოს ამ მიზნით მხარეთა მიერ განხორციელებული ქმედითი ღონისძიებები. ამ ურთიერთობისას სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი სახის სანქციის გამოყენება ან/და ლიცენზიის გაუქმება არის ლიცენზიის მფლობელის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის საპასუხო ქმედება. შესაბამისად, სალიცენზიო

ვალდებულებების დროულად შეუსრულებლობის პირობებში, ლიცენზიის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.

მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში 2023 წლის 27 ნოემბერს გამართულ ზეპირ მოსმენაზე მოხდა მხარეთა მოსაზრებების და პოზიციების წარმოდგენა. ამავე მოსმენის ფარგლებში, კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, სალიცენზიო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით, შესაბამისი არგუმენტაცია/დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი, რაც სალიცენზიო ვალდებულებების შეუსრულებლობას ცხადყოფს. კომპანიამ ვალდებულებების შესრულების ნაწილში დააფიქსირა მხოლოდ რამდენიმე საკითხი, კერძოდ, წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ 97 276 ჰექტარი ტერიტორიის დაცვისთვის, კომპანიას დაქირავებული ჰყავს რვა რეინჯერი. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ იყო წარმოდგენილი ზეპირ მოსმენაზე. სსიპ გარემოს ეროვნულმა საგენტომ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოდან გამოითხოვა ინფორმაცია სახელმწიფო ტყის დაცვის მიზნებისათვის, არსებული სტანდარტებით ან/პრაქტიკით, ერთ რეინჯერზე გათვალისწინებული დასაცავი ფართობის რაოდენობის შესახებ. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცნობით, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ დაცულ ტერიტორიებზე, ერთი რეინჯერის მიერ დასაცავი ფართობი საშუალოდ 1200-1300 ჰექტარია. რეინჯერზე დაქვემდებარებული ფართობი, თითოეული დაცული ტერიტორიისთვის ინდივიდუალურია, მათ შორის არსებობს ისეთი სარეინჯერო ტერიტორიები სადაც 800 ჰექტარამდე ტერიტორია მოდის ერთ რეინჯერზე დასაცავად, ეს დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: ტერიტორიის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ტერიტორიაზე შეღწევადობაზე, მიმდებარედ დასახლებული პუნქტების რაოდენობაზე, ტერიტორიაზე წარმოდგენილი ეკოსისტემების მოწყვლადობაზე ანთროპოგენული ზეგავლენის მიმართ, ეკოსისტემების ტიპზე, ტერიტორიის კონსერვაციულ ღირებულებაზე, ბიომრავალფეროვნების გავრცელებაზე და სხვა ფაქტორებზე. შესაბამისად, სალიცენზიო ფართობზე, კომპანიის მიერ 8 რეინჯერისათვის დაცვის ღონისძიებების მინდობა თავისთავად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ კომპანიას არ აქვს გაანალიზებული სალიცენზიო ვალდებულებების შესრულების საკითხი, არ აქვს მოძიებული ქვეყანაში არსებული პრაქტიკა ამ მიმართულებით და მხოლოდ ფორმალურად/ზედაპირულად მიუდგა საკითხს. ამავე სხდომაზე, კომპანიის წარომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს მოსახლეობასთან შეხვედრებზე და აღნიშნეს, რომ კომპანია რამდენიმე დღის წინ შეხვდა მოსახლეობას (კომპანიის განმარტებით, შეხვედრა მოსახლეობის ინიციატივით შედგა) და გააცნეს მიზნები სამონადირეო მეურნეობის მიმართულებით. დაფიქსირდა ასევე, რომ მსგავსი შეხვედრები ჩატარდა გასულ პერიოდშიც. მუნიციპალიტეტების და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში) წარმომადგენლის ინფორმაციით აღნიშნული უწყებები ამ შეხვედრების შესახებ ინფორმირებულები არ იყვნენ, რაც ასევე დაადასტურა კომპანიამ. აღსანიშნავია, რომ კომპანიის მიერ ზეპირ მოსმენაზე არც ამ საკითხების დამადასტურებლად ყოფილა რაიმე დოკუმენტი წაროდგენილი.

მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს ახალი გარემოებებიც, რაც გულისხმობს რაჭის რეგიონში, მათ შორის, სალიცენზიო ტერიტორიაზე, ახალი დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბების შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2023 წლის 17 ნოემბერის N 4513 წერილით, სააგენტო ადასტურებს, რომ დაგეგმილი აქვს რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, რომელიც, მათ შორის, მოიცავს სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით (N000019) გათვალისწინებულ ტერიტორიებს, განახორციელოს კვლევები სხვადასხვა მიმართულებით, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს, როგორც არსებული ეროვნული პარკის გაფართოვებას, ასევე ახალი დაცული ტერიტორიების დაარსებას.

ამ მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და დაცული ტერიტორიების სააგენტო აქტიურად მუშაობს საქართველოს დაცული ტერიტორიების შექმნისა და გაფართოების მიმართულებით, სხვადასხვა ექსპერტებისა და დონორი ორგანიზაციების ჩართულობით. მათ შორის, რამოდენიმე წელი მიმდინარეობდა მუშაობა რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნის მიმართულებით, რაშიც ჩართულები იყვნენ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) და სხვა ორგანიზაციები.

სწორედ ამ მიზნით, „რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში შეიქმნა რაჭის ეროვნული პარკი 50 894 ჰექტარ ფართობზე. მიმდინარე ეტაპზე მნიშვნელოვანია აღნიშნული დაცული ტერიტორიების გაფართოება და ახალი დაცული ტერიტორიების შექმნა.

დაწყებულია მუშაობა, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთად, რათა მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები და დაიგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები, შეიქმნას შესაბამისი სტატუსის დაცული ტერიტორია, რომლის მართვაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი. ამ გზით, განსხვავებით სამონადირეო მეურნეობის პროექტისა (რომლის ლიცენზიის გაცემის დროს განისაზღვრა კონკრეტული მიზნები, ხოლო ფაქტობრივი მდგომარეობა გამორიცხავს ლიცენზიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას), ვერ ხერხდება, და მოსახლეობა უშუალოდ ვერ მიიღებს იმ სიკეთეებს, რომლებსაც დაცული ტერიტორიების განვითარების პოლიტიკა და პრაქტიკა ითვალისწინებს, ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების, დონორების მიერ ინვესტირების განხორციელების, ადმინისტრაციული ისე ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით, ასევე მოსახლეობისთვის კონკრეტული საგრანტო პროექტების დაფინანსების კუთხით. დაცული ტერიტორიების გაფართოებით განვითარდება ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა, გაიზრდება ვიზიტორების რაოდენობა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, ადგილობრივ მოსახლეობის დასაქმებასა და შემოსავლების ზრდას.

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტომ ზემოაღნიშნულ წერილში აღნიშნა, რომ სამონადირეო მეურნეობის ამჟამინდელ სალიცენზიო ტერიტორიაზე, ან მის ნაწილზე დაცული ტერიტორიის შექმნის შემთხვევაში, სამონადირეო მეურნეობის ფუნქციონირების პარალელურად, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო მოკლებული იქნება

შესაძლებლობას განახორციელოს სხვადასხვა ტიპის განვითარების პროექტები, მათ შორის: ეკოტურიზმის, სოციალური, გარკვეული კონსერვაციული ღონისძიებების და სხვა მიმართულებებით, ლიცენზიის ვადის გასვლამდე ან მის საბოლოო გაუქმებამდე.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ზემოაღნიშნულ ფართობზე მოსახლეობასთან ინტენსიური კონსულტაციების საფუძველზე და ქართველი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბება მიჩნეული უნდა იყოს უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად.

რაჭის დაცული ტერიტორიების გაფართოება და ახალი დაცული ტერიტორიების დაარსება ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების დაცვას, „ეკო-დერეფნების" ქსელის გაფართოებას, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას და დასაქმებას ტურისტულ სერვისებში. აგრეთვე მხედველობაშია მისაღები, რომ ეკონომიკური ზრდის პირობებში სწორედ დაცულმა ტერიტორიებმა უნდა უზრუნველყონ საქართველოს გამორჩეული ბუნებრივი მრავალფეროვნებისა და მოსახლეობისთვის ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება. შესაბამისად, ამ თვალსაზრისითაც, ბუნებრივი ტერიტორიების ტრანსფორმაციის შეჩერების, მათი სამეურნეო ზეწოლისაგან დაცვის მიზნით, დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი დაცულიტერიტორიების ჩამოყალიბებასა და არსებული დაცული ტერიტორიების გაფართოებას. რაჭის რეგიონის სახელმწიფო ტყის ტერიტორია აკმაყოფილებს როგორც „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის (ეროვნული პარკი) და მე-9 (მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია) განსაზღვრულ მოთხოვნებს. ასევე, ეხმიანება ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ საერთაშორისო კონვენციასთან (CBD - Convention onBiological Diversity; საქართველო მხარეა 1994 წლიდან), სახელდობრ, მისი ახალი სტრატეგიის (აიჩი2020) მე-11 სტრატეგიულ მიზანსაც, რომელიც ადგენს, რომ „2020 წლისთვის, ხმელეთისა და შიდა წყლების ფართობის, სულ მცირე, 17% და სანაპიროსა და საზღვაო ფართობის 10%, განსაკუთრებითის ტერიტორიები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების თვალსაზრისით, მოქცეული იქნას დაცული ტერიტორიების საზღვრებში.

რაჭის დაცული ტერიტორიების დაარსების შედეგად შეიქმნება ადმინისტრაციული ცენტრი, რეგიონი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს - ადგილობრივი მოსახლეობისთვის შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები; ტურისტული სერვისები, განვითარდება ინფრასტრუქტურა, მოეწყობა ტურისტული სალაშქრო ბილიკები, საკემპინგე და საპიკნიკე ადგილები, დაინერგება ახალი ტურისტული სერვისები; განხორციელდება ადმინისტრაციების აღჭურვა და განვითარება, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისთვის სოციალურ-ეკონომიკური პროექტების დაფინანსება. ასევე, დაცული ტერიტორიების შექმნა უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას და დასაქმებას ტურისტულ სერვისებში. აგრეთვე მხედველობაშია მისაღები, რომ ეკონომიკური ზრდის პირობებში სწორედ დაცულმა ტერიტორიებმა უნდა უზრუნველყონ საქართველოს გამორჩეული ბუნებრივი მრავალფეროვნებისა და მოსახლეობისთვის ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება.

დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბების გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით დამატებით შესაძლებელია ითქვას, რომ დაცული ტერიტორიებთან ერთად, იმავე ფართობზე სამონადირეო მეურნეობის პარალელური არსებობა შექმნის პრობლემებს, როგორც ტერიტორიის ეფექტიანი მენეჯმენტის, ისე ადგილობრივი მოსახლეობისათვის შეზღუდვების გაზრდის რისკებიდან გამომდინარე. ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვა, აღნიშნული ტერიტორიის მართვისა და დაცვის ორმაგი მენეჯმენტის პირობებში ვერ იქნება უზრუნველყოფილი.

3. ადმინისტრაციული ორგანოს შემაჯამებელი დასკვნა

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, მიერ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 23 მარტის N38/ს ბრძანების საფუძველზე გაცემული სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის (№000019) გაუქმების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, ჩატარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. დადგინდა, რომ ლიცენზიის მფლობელის მიერ ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობა, რაც სალიცენზიო პირობებითაა განსაზღვრული, პირდაპირ და უშუალო ზიანის აყენებს საჯარო ინტერესს და აშკარაა რომ შესაბამისი ღონისძიებების გატარებაც ვერ უზრუნველყოფს ლიცენზიის მიზნების მიღწევას. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, არსებობს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-4[1] პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები: აშკარაა, რომ თუ სარგებლობის ლიცენზიის პირობების ან/და კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებას შედეგი არ მოჰყვება, ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გააუქმოს ლიცენზია.

შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა''-ზე (ს/კ 405352363) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 23 მარტის N38/ს ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას ,,ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილების და „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილების მოთხოვნები. აღნიშნული დადგენილების 8[1] მუხლის თანახმად, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით, ამ დებულების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს ლიცენზიის გამცემი ორგანოს მიერ ლიცენზიის გაუქმების საფუძველი.

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, გამოკვლეული სალიცენზიო პირობების შესრულებასთან დაკავშირებული გარემოებები, ასევე, წარმოების დროს გამოკვეთილი ახალი გარემოებები ერთობლიობაში ქმნიან „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-4[1] პუნქტით გათვალისწინებულ შემადგენლობას, რითაც საბუთდება ლიცენზიის გაუქმების საფუძვლიანობა. ყველა

ზემოაღნიშნული გარემოება ერთობლიობაში ქმნის ფაქტობრივ გარემოებებს, როდესაც ვერ მიიღწევა ლიცენზიის გაცემის პროცესში ლიცენზიის გამცემის მიერ დასახული მიზანი და ქმნიან საფუძველს, რომ ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა''-ზე (ს/კ 405352363) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ" სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 23 მარტის N38/ს ბრძანების საფუძველზე გაცემული სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია (№000019).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთგაწონასწორების, საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიზანშეწონილია მოხდეს ლიცენზიის გაუქმება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" და „ე" ქვეპუნქტების, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის (სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა) და 4^1 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით. კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა იმ შემთხვევებისა: „გ) თუ დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი; „ე) თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს."

ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ლიცენზიის გაუქმება ნიშნავს ლიცენზიის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადებას. ვინაიდან წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია ასევე ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებს, რომ არსებობს როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევა, ასევე მისგან გამომდინარე, სახელმწიფოს გეგმები დაცული ტერიტორიების შექმნისა და განვითარების კუთხით, ვინაიდან აშკარაა, რომ სამონადირეო მეურნეობის პროექტის განხორციელება ადგილობრივი საზოგადოებისათვის პრინციპულად მიუღებელია, აქტის მოქმედების გაგრძელება ეწინააღმდეგება როგორც სახელმწიფო ასევე საზოგადოებრივ ინტერესებს. არსებული ფაქტობრივი გარემოებების, მოქმედი სამართლებრივი ნორმების, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის, 53-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილების, 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, მე-2 ნაწილის ,,გ" და ,,ე" ქვეპუნქტების, 96-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-22 მუხლის მე-4^1 და მე-11 პუნქტების,

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N132 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების“ 8[1] მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 აპრილის N2-255 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-3 მუხლის „ვ“ და „მ“ ქვეპუნქტებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2023 წლის 13 ნოემბრის DES 2 23 00084050 მომართვის საფუძველზე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა''-ზე (ს/კ 405352363) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 23 მარტის N38/ს ბრძანება და, შესაბამისად, გაუქმდეს შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა''-ზე (ს/კ 405352363) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 23 მარტის N38/ს ბრძანებისა და შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა''-ზე (ს/კ 405352363) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 23 მარტის N38/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 16 სექტემბრის N335/ს ბრძანების საფუძველზე გაცემული სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია (№000019).